N 247 03/07/2018

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 8

დ. ჩოხატაური **18 ივნისი, 2018 წელი**

სხდომის თავმჯდომარე-ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

სხდომას ესწრებოდნენ: დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე,ზვიად წეროძე, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, უშანგი ართმელაძე, ენვერი ახალაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, დავით გუდავაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მარინე ბერაძე, თემურ ხუხუნაიშვილი, მაია გიორგაძე, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: აკაკი ყაჭეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, ალექსანდრე შარაშიძე, იაშა შათირიშვილი, მანანა მინდაძე, დავით შარაშიძე, შალვა ჩანტლაძე, მინდია დოლიძე, მამია ბარამიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მაია გოგოლაძე- საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

თეა უჯმაჯურიძე- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ალექსანდრე წიქარიძე- არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი არქიტექტურულ- სამშენებლო საქმიანობის რეგულირების საკითხებში.

ვალერი ყაჭეიშვილი- ქონების მართვის განყოფილების უფროსი.

ლია ჩხიკვაძე- ჩოხატაურსა და ლანჩხუთში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ.

4. ჩოხატაურში მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 739.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.01.23.278) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის I კვარტლის ანგარიშის შესახებ.

6. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების განხორციელების შედეგად, ბიუჯეტში მოზიდული ფინანსების თაობაზე ინფორმაციის მოსმენის შესახებ.

7. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

<u>ბზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ, მაია კუტუბიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ალექსანდრე წიქარიძე

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი:თეა უჯმაჯურიძე

4. ჩოხატაურში მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 739.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.01.23.278) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ლაშა თოლორდავა

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის I კვარტლის ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

6. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების განხორციელების შედეგად, ბიუჯეტში მოზიდული ფინანსების თაობაზე ინფორმაციის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

7. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ალექსანდრე წიქარიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზვიადი მამალაძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია დადგენილება: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

II საკითხი: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის

საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ლაშა თოლორდავამ, დავით გუდავაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია დადგენილება: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი:თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ, ბექა გამდლიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ.

IV საკითხი: ჩოხატაურში მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 739.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.01.23.278) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მოისმინეს:

ჩოხატაურში მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 739.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.01.23.278) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ლაშა თოლორდავა

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ, რომელმაც დაუსვა კითხვაპროექტის ავტორს, იყო თუ არა შესული შენობა ექსპლოატაციაში და თუ ჩაიბარა კომისიამ ეს შენობა დასრულებული სახით?

ვლადიმერ სიხარულიძე- არის ეს შენობა აყვანილი ბალანსზე?

ვალერი ყაჭეშვილი- შენობა დასრულებულია, დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურში მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 739.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.01.23.278) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

V საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის I კვარტლის ანგარიშის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის I კვარტლის ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ლია ჩიგოგიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში ვკითხულობთ: ექსპლუატაციისა და მოვლა- შენახვის ხარჯი შეადგენს 39, 3 ათას ლარს.ხომ არ დაგვიკონკრეტებთ რაზეა საუბარი. ასევე, მაინტერესებს, სოციალური პროგრამების დაფინანსება შეადგენს 17, 7 ათას ლარს. კონკრეტულად რაზეა გამოყოფილი ეს თანხა.

მაია გოგოლაძე- 39,3 ათასი ლარი არის ძირითადად მერიის, საკრებულოს, სამხედრო აღრიცხვის სამსახურის საწვავის, ტრანსპორტის რეცხვის ხარჯი. რაც შეეხება 17, 7 ათას ლარს, ეს თანხა არის ძირითადად საოჯახო მეურნეობაზე გაწეული ხარჯი.

მიღებულია განკარგულება: ცნობად იქნა მიღებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის I კვარტლის ანგარიშის შესახებ.

VI საკითხი: მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების განხორციელების შედეგად, ბიუჯეტში მოზიდული ფინანსების თაობაზე ინფორმაციის მოსმენის შესახებ.

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების განხორციელების შედეგად, ბიუჯეტში მოზიდული ფინანსების თაობაზე ინფორმაციის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

აზრი გამოთქვა: ლაშა თოლორდავამ, კლოდი მდინარაძემ.

მიღებულია განკარგულება: მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების განხორციელების შედეგად, ბიუჯეტში მოზიდული ფინანსების თაობაზე ინფორმაციის მოსმენის შესახებ.

VII საკითხი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: დავით ბერძენიშვილმა, თემურ ხუხუნაიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ განცხადება გააკეთა ფრაქცია ,,პატრიოტთა ალიანსის" თავმჯდომარემ-მაია კუტუბიძემ: დავკონკრეტდები შემდეგზე: ხელთ მაქვს ოთხი აუდიტორული შესყიდვა, სხვადასხვა ა(ა)ი.პ.- ებში რიცხული არაფინანსური და ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურებაზე.

შესყიდული არის ეს ოთხი მომსახურება: 5 000 ათას ლარიანი ერთად და რაზე: კონსულტაციაზე მხოლოდ. მაშინ, როდესაც გაფორმებულია ეს ხელშეკრულებები იგივე ,,ლაზიკა აუდიტთან", რომელმაც ,,ძვირფასი" აუდიტორული შემოწმება გაგვიკეთა წინა წლის შედეგების, რომელიც ჩემი პირადი ინფორმაციით უმრავლესობის წევრებმაც კი არ მოუწონა და არასპეციალისტებიც ხვდებოდნენ თუ რამხელა შეცდომები და კოპირებული გადატანილი ტექსტები იყო დასკვნაში. ამ ხელშეკრულებების დადებამდე ცოტა ხნით ადრე, ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ორი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც ორ პიროვნებასთან უნდა დადებულიყო მეზობელი ტერიტორიული ორგანოებიდან, რომლებსაც უნდა ჩაეტარებინა ინვენტარიზაციები ჩვენთან. რაც ძირითადი შენიშვნა იყო ,,ლაზიკა აუდიტის". ეს პიროვნებები იყო ,ლაზიკა აუდიტთან" დაკავშირებული პიროვნებები. ერთ- ერთი იყო ყოფილი დამფუძვნებელი ,,ლაზიკა აუდიტის" და მეორე მასთან დაკავშირებული პირი. ჩვენ, ამის შესახებ ვაცნობეთ, რომ არ იყო ეს მართებული, არსებობს წესი ინვენტარიზაციის ჩატარების მთავრობის მიერ მიღებული და იქ არის მუხლი, რომ თუ შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობის დროს წარმოიშვა რაიმე დარგობრივი საკითხი, რომელიც საჭიროებს დამატებით კონსულტაციას, შეიძლება დარგის სპეციალისტი იქნეს მოწვეული ამ საკითხის დასაზუსტებლად და არა ისე, რომ 5 000 თასი ლარი გადავიხადოთ მაგიდისა და სკამების დათვლაში და ინვენტარიზაციის ოქმის შედგენაში. დათვლაზეც არაა საუბარი, მხოლოდ კონსულტაციის მომსახურების თანხას.

ამ კონკრეტულ შემთხვევაზე, მთელი წელი შეიძლება იყოს ამდენი თანხა გამოყოფილი, მაინტერესებს, მაინც რა არის ამდენი საქმე და საწერი ვერ ვხვდები. თვითონ შესაბამის სამსახურში უნდა შექმნილიყო კომისია და თუ რაიმე პრობლემა შეიქმნებოდა, ამ

შემთხვევაში , ჩვენ გვყავს შიდა აუდიტის სამსახური და დარწმუნებული ვარ, ნამდვილად კომპეტენტურ კონსულტაციას გაუწევდა.

მაინტერესებს, რა საჭირო იყო ამხელა ხარჯი და რატომ გადავიხადეთ ეს თანხა.

ზაალ მამალაძე- გთხოვთ, წერილობით მომაწოდოთ თქვენი განცხადება, რომ იყოს შესაბამისი პასუხი მიღებული, თუ რაში დაიხარჯა ეს თანხა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა